

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის დათა კუკავას ანგარიში 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - დათა კუკავა

თანამდებობის დასახელება- „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე

ფრაქციის დასახელება\_ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო

კომისი(ებ)ის დასახელება - საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისია.

არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით)- მაჟორიტარი, წალენჯიხის N68.18, N68.19 ფახულანის საარჩევნო უბნები.

საანგარიშო პერიოდი- 2017 წლის 20 ნოემბრიდან 2018 წლის 01 ნოემბრამდე.

ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

1.საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1.სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა- 22  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება \_ 18

2.სულ კომისიის სხდომების რაოდენობა \_34  
კომისიის სხდომებზე დასწრება \_ 30

3.სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა -10  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება -10

4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:

ა) 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის თაობაზე;

გ)მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის(2018-2022წწ.)განხილვის შესახებ.

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2018 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების თაობაზე;

ე)წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ვ)წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ;

ზ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ;

თ) „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის განაწილებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების ბიუჯეტის დაზუსტების წესების დამტკიცების შესახებ“

- ო) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ;
- კ) წალენჯიხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესახებ;
- ლ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ;
- მ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების თაობაზე;
- ნ) „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“;
- ო) წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ;
- პ) პეტიციები სხვა მიმდინარე საკითხები.

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა:

-

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 14  
 შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა - 380

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები: ვახულანის ცენტრიდან ჭალეს მიმართულებით 3 კილომეტრიანი გზის მოასფალტება, სასმელი წყლით უზრუნველყოფა ნასკოლისა და ჭველეს უბანში, შიდა საუბნო გზების რეაბილიტაცია, სოფლის გაზიფიცირება, ინტერნეტიზაცია, ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში სკვერის მოწყობა, ამბულატორიისა და ადმინისტრაციული შენობის კაპ.შეკეთება.

8. მოქალაქეთა პრობლემებზე საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის, დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)  
 მოეწყო ქალაქის მიმართულებით ბეტონის გზა 300 გრძივ მეტრზე, ასევე ჭველეს უბანში უბანში 250 გრძივ მეტრზე, გაკეთდა საცაღებო ხიდი, მოეწყო გაბიონი მდინარე ოლორის სანაპიროზე და ქალაქის უბანში ვ.გოგობიას სახლთან, განხორციელდა შიდა გზების მოხრეშვითი სამუშაოები და ესკადას უბანში შიდა გზის რეაბილიტაცია.

II. საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა  
 აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და იურიდიულ, სამანდატო და საპროცედურო საკითხთა კომისიების მუშაობაში, კომისიების სხდომებზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით დასკვნების მომზადებაში.

როგორც ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ წევრი მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ ყველა სხდომაში. რეგულარულად ვხვდებოდი ჩემს ამომრჩევლებს და მათ მიერ წამოჭრილ პრობლემებს ვაყენებდი ფრაქციისა და საკრებულოს წინაშე. მოსახლეობის აზრის გათვალისწინებითა და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, დადებითად გადაიჭრა ბევრი საკითხი.

შევესებისთარიღი-31.10.2018 წ.

წარდგენისთარიღი \_31.10.2018 წ.

ხელისმოწერა

